სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №111
2026 წლის 24 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15.06.2017, 010240060.57.069.016110) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. თუ პრეტენდენტის საგადასახადო დავალიანება 1 000 (ათასი) ლარზე ნაკლებია, სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 25 ნოემბრიდან და გავრცელდეს მისი ამოქმედების შემდგომ გამოცხადებულ ტენდერებზე.

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი ლაცაბიძე**

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №110

2026 წლის 24 ნოემბერი

ქ. თბილისი

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 25.05.2015, 040170030.57.069.016061) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-9 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 პუნქტი:

„9^1. თუ პრეტენდენტის საგადასახადო დავალიანება 1 000 (ათასი) ლარზე ნაკლებია, საკონკურსო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 25 ნოემბრიდან და გავრცელდეს მისი ამოქმედების შემდგომ გამოცხადებულ კონკურსებზე.

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ლაცაბიძე